

ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის
N9 ბინაზე, მოქალაქე ლოლა სილაგაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ლოლა სილაგაძის განცხადება /2012 წლის 06.12 Nს-10098/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლი N9 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლოლა სილაგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N30 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე /საერთო ფართობი 61,88 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,50 კვ.მ, დამხმარე ფართობი 26,38 კვ.მ./ მოქალაქე ლოლა სილაგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე